ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი 1932 წ. № 271 (3525)

## განსაზოგადოებულ პირუტყვს — საზამთრო ბინა და საკვები

სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეში საქართველოს პარტორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მიუხედავათ კლასობრივ მტრების მავნებლობისა, მემარჯვენე ოპორტუნისტების საბოტაჟისა და წინააღმდეგობისა, სისტემატიურად მტკიცდება ჩვენი პოზიციები მსხვილი სოციალისტური მეცხოველეობის ორგანიზაციის დარგში. დღეისათვის საქართველოში არსებობს **239 მეძროხეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა; 24.275 ძროხით, 139 მეღორეობის ფერმა 12.277 ღორით, 127 მეცხვარეობის ფერმა 86.367 ცხვრით.** გარდა ამისა კარაქტრესტის, მეღორეობის ტრესტის და საბტრესტის ხაზით მოწყობილია მეცხოველეობის **22 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა 157.975 სული პირუტყვით. აქედან 8.485 მსხვილფეხა პირუტყვია, — 10.750 ღორი და 137.740 სული ცხვარი.**

1932 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა ითვალისწინებს, ზემოაღნიშნულ ფერმებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯოგების შევსებას და ახალ მეურნეობათა ორგანიზაციას. ეს მუშაობა წარმატებით ტარდება. გარდა ამისა საქ. კ. პ. (ბ) ცკას 28 მარტის ცნობილი დადგენილების საფუძველზე ბევრი გაკეთდა და კეთდება კიდევ ამისათვის, რომ თითოეულ კოლმეურნეს ყავდეს თავისი საკუთარი ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი, და ფრინველი. ამასთანავე ყოველდღიურად იზრდება დამხმარე მეურნეობათა ქსელი, რომელნიც თანდათან ავითარებენ [illegible] პირუტყვის, ღორის, კურდღლის და სხ. მოშენებას.

ყოველივე ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა და ყოველმხრივ გავაძლიეროთ მშრომელთა მომარაგება როგორც ხორცით, ისე რძის ნაწარმოებით.

სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების უზრუნველსაყოფად საჭიროა ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრა. ესაა — მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და პირუტყვის სათანადო ბინებით უზრუნველყოფა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, ამ საქმეში ჩვენ დიდი დეფექტები და გარღვევები გვაქვს. მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები განსაზოგადოებული პირუტყვის ჯოგის გადიდებასთან ერთად, არ იღებენ საკმაო ზომებს საკვების მომარაგებისა და ბინის მშენებლობის გასაშლელად.

ჩვენ თავის დროზე გვქონდა აღნიშნული ზამთრისათვის განსაზოგადოებული პირუტყვის საკვებითა და ბინით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების შესახებ. არის პარტიის და ხელისუფლების კატეგორიული მითითება იმის შესახებ, რომ ადგილებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პირუტყვის საკვების მომარაგებას, საფურაჟო ფონდების ორგანიზაციას და პირუტყვის საზამთრო ბინებით უზრუნველყოფას.

როგორც ირკვევა, მთელი რიგი რაიონები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკე გაერთიანებები ამ მითითებებს დროულად არ ასრულებენ. **საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებს აკლიათ 98.000 ტონა უხეში საკვები;** მარტო ახალქალაქისა და ბორჩალო - მანგლისის რაიონებს აკლიათ 500 ტონა საკვები. ამ მხრივ ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაშია მეღორეობის საბჭოთა მეურნეობები. ზამთრის პერიოდისათვის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებს სჭირდებათ 2.000 ტონა კონცენტრიული საკვები, ფაქტიურად მათ არა აქვთ არც ერთი ტონა. მეღორეობის საბჭოთა მეურნეობები საკვების მწვავე ნაკლებობას განიცდიან დღესაც.

პირუტყვისათვის ბინების მშენებლობა გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესდა, მაგრამ, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მაინც არ გვაქვს. საერთოდ **ბინების მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით.** ბოგდანოვკისა და ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობებში უბინაოდ დარჩენა მოელის 700-ზე მეტ მსხვილფეხა პირუტყვს. თელავის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობას, მიუხედავათ ყველა ხელსაყრელი პირობებისა დღემდე არ დაუმთავრებია სადორეების მშენებლობა და სხვ.

ეს მდგომარეობა მოწმობს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ არ მობრუნებულან პირით **მსხვილი სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების კონკრეტული ამოცანებისაკენ.** მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებთან და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებთან არსებული პარტუჯრედები ბევრგან არ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას მეურნეობებს ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა საკვების მომარაგება, ბინების მშენებლობა, შრომის ორგანიზაცია და სხვ. გარდა ამისა როგორც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ისე თვით მეცხოველეობის მეურნეობათა ხელმძღვანელები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას ადგილობრივი რესურსების (უხეში საკვები, საშენი მასალა, ფულადი სახსრები და სხვ.) მობილიზაციას.

ამ ნაკლოვანებებს დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. სოფლის პარტიული, საბჭოთა, საკოლმეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უდიდეს საზრუნავს ამჟამად წარმოადგენს პირუტყვის უზრუნველყოფა საზამთრო ბინით და საკვებით. თივის აღების გეგმა წელს ვერ იქნა შესრულებული ცუდი მოსავლისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო. ამიტომ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ყველა სახის (ჩალა, ფურჩა) საკვების მობილიზაციისათვის. უნდა დაწესდეს სასტიკი მეთვალყურეობა და კონტროლი საფურაჟო ფონდების მომჭირნეობის ხარჯვის, დასილოსებული საკვების წესიერად გამოყენების. კოლმეურნეობებში საფურაჟო ფონდების დროზე და სწორად განაწილებისათვის და სხ.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაგებობათა მშენებლობის **უეჭველად** დამთავრებას, რაც მშენებლობის პროცესშია. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც წელს ვერ ამთავრებენ გეგმით გათვალისწინებულ საბინაო მშენებლობას, ახლავე უნდა მიიღონ საჭირო ზომები ძველი ნაგებობათა გამოყენებისათვის.

ყოველივე ეს დამოკიდებულია იმისაგან, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები როგორი მონდომებით დარაზმავენ მასებს ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და მისი რაციონალურად გამოყენებისათვის. პირუტყვის საკვები ადგილზე არის, საჭიროა მისი შეგროვება და დაშორებულ პუნქტებიდან გამოზიდვა.

მთელი ძალების დარაზმვით უნდა შევძლოთ განსაზოგადოებული პირუტყვის უზრუნველყოფა ზამთარში საკვებით და ბინით. ამას მოითხოვს სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების ინტერესები.

## საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია

### დანიშნულია 1933 წლის 10 იანვრისათვის

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მეექვსე მოწვევის ცაკის მესამე სესია დანიშნულია 1933 წლის 10 იანვრისათვის; დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის 1933 წლის საკონტროლო ციფრები.
2. საბჭოთა კავშირის 1933 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი.
3. კოლმეურნეობათა განმტკიცების შესახებ.
4. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იმ დადგენილებათა ამტკიცება, რომლებიც, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, დამტკიცებულ უნდა იქნან საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის მიერ.

ს. ს. რ. კ. ცაკის მდივანი — **ა. ენუქიძე.**

## ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

### ქვანახშირი

**ტყიბული, 22 ნოემბერი.** (საქ. კორ.). ტყიბულის მაღაროებში 18 ნოემბერს ამოღებულ იქნა 627 ტონა ქვანახშირი. სამუშაოზე გამოვიდა 853 მუშა. მოთხოვნილი იყო 50 ვაგონი, მოწოდებულ იქნა 18.

19 ნოემბერს ამოღებულ იქნა 810 ტონა ქვანახშირი. სამუშაოზე გამოვიდა 745 მუშ. მოთხოვნილი იყო 50 ვაგონი, მოწოდებულ იქნა 19.

### ცემენტი

**კასპი, 22 ნოემბერი** (საქ. კორ.). კასპის ცემენტის ქარხანაში 20 ნოემბერს გამოიწვა 2661 კასრი ცემენტი, ანუ გეგმის 101,9 პროც. დაიფქვა 3691 კასრი, რაც უდრის გეგმის 121,1 პროც., გაგზავნა არ სწარმოებდა ვაგონების მოუწოდებლობის გამო.

### რიონჰესი

**გრძელდება რიონჰესის კაშხალის ფარების გამოცდა**

გრძელდება რიონჰესის მთავარი კაშხალის ფარების გამოცდა, რომელიც 18 ნოემ[illegible] დაიწყო. აწყობილია 4 ფარი. თვითეული ფარის სიმაღლე უდრის 10½ მეტრს. ფარები და ამწევი მექანიზმები, რომლებიც დამზადებულია ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"-ში, კარგად მუშაობენ.

### საზღვარ-გარეთ

## დამშეული უმუშევრები მოითხოვენ ბეღლებისა და საწყობების გახსნას

### „მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება მოუღებს ბოლოს გერმანიის უმუშევართა მილიონების შიმშილს და გაჭირვებას"

**ბერლინი,** 21 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინის საოლქო კონფერენციაზე გერმანიის კომპარტიის ცკას წარმომადგენელმა ამხ. ფლორინმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც შეიცავს უმუშევართა მოთხოვნებს. მოწოდებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მოწოდებაში, რომელსაც ხელს აწერენ გერმანიის უმუშევართა კომიტეტი და გერმანიის რევოლუციური ანტიფაშისტური კომიტეტი, ნათქვამია:

„დაიწყო ზამთარი, რომელსაც მოაქვს დიდი გაჭირვება უმუშევართა მილიონებისა, იმპერიალისტური ომის მსხვერპლთა და ყველა მშრომელი მასებისათვის მშრომელებს უმუქრება შიმშილი და სიცივე. მასები იხოცებიან იმ დროს, როცა ბეღლებში ფუჭდება დიდძალი სურსათი. მასები სიცივისაგან იყინებიან იმ დროს, როცა ქვანახშირის საწყობებში ქვანახშირის გორები სდგას. უმუშევართა უდიდეს გაჭირვებასთან ერთად, აღმაშფოთებელია სიჭარბე ყოველივე იმის, რაც ყველაზე უფრო სჭირდება დამშეულ მასებს: პურის, კარტოფილის და ქვანახშირის. უმუშევართა დამშეული მასები და ომის მსხვერპლი—ყველა, ვინც იძულებულია იარსებოს დახმარებით, მოითხოვენ ბეღლების და საწყობების დაუყოვნებლივ გახსნას". გერმანიის უმუშევართა კომიტეტი და რევოლუციური ანტიფაშისტური კომიტეტი მოუწოდებენ ყველა უმუშევრებს და ქალაქისა და სოფლის მშრომელებს ჩაატარონ ფართო მასიური მობილიზაცია ბრძოლის გასაჩაღებლად უმუშევართა ხსნისათვის შიმშილისა და სიცივისაგან.

მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ კონფერენციაზე გამოვიდა ამხ. ტელმანი, რომელმაც აღნიშნა უმუშევრობის წინააღმდეგ გაშლილი მასიური ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა. ამხ. ტელმანმა, მიუთითა, რა რომ ამჟამად გერმანიაში შიმშილობს დაახლოვებით 9 მილიონი უმუშევარი და მათი ოჯახის წევრები, განაცხადა, რომ უმუშევართა აქტიური ბრძოლის გაჩაღება და მისთვის მხარის დაჭერა კომპარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

„ჩვენ,—სთქვა ამხ. ტელმანმა—უმუშევართა მილიონებს უხსნით, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, რომელიც გვეკუთვნის ჩვენ, არავითარი უმუშევრობა არ არის, მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება მოუღებს ბოლოს გერმანიის უმუშევართა მილიონების შიმშილს და გაჭირვებას" (ადს).

## მთავრობის კრიზისი გერმანიაში

### ჰიტლერის მოლაპარაკება ჰინდენბურგთან

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. „პრავდა"-ს საკუთარი კორესპონდენტი ბერლინიდან სწერს:

„გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ ჰიტლერმა ჰინდენბურგთან შეხვედრის დროს მოითხოვა, რათა კაბინეტის შედგენა მიენდოს მას—ჰიტლერს. პრეზიდენტმა დაავალა ჰიტლერს დაუკავშირდეს სხვა პარტიების ხელმძღვანელებს იმ მიზნით რომ „გამოარკვიოს—თუ რა პირობებში შეძლებს ჰიტლერის ხელმძღვანელობით შედგენილი მთავრობა შექმნას მუშაობის უნარის მქონე უმრავლესობა და რეიხსტაგის მუშაობის საერთო პროგრამა". ჰიტლერმა მიიღო დავალება და აღუთქვა პრეზიდენტს, რომ მისცემს პასუხს.

საღამოს პრესა იუწყება, რომ ჰინდენბურგმა წაუყენა ჰიტლერს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა შესრულების დროს ნაციონალ-სოციალისტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში. (ადს).

## გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია

**ჟენევა,** 21 ნოემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნა დე-ვალერას (ირლანდია) თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში პირველ საკითხად სდგას ლიტონის კომისიის მოხსენება (ადს).

### ლიტონი ჩავიდა ჟენევაში

**ჟენევა,** 21 ნოემბერი. ჟენევაში ჩამოვიდნენ ლიტონი და მაკ-კოი ამ დღეებში ჩამოვლენ ლიტონის კომისიის დანარჩენი წევრებიც.

გამოქვეყნდა იაპონიის „შენიშვნები" ლიტონის მოხსენების გამო (ადს).

## გენერლების ომი სიჩუანის პროვინციაში

**შანხაი,** 21 ნოემბერი. ლიუ ხიანის (სიჩუანის პროვინციის ჯარის მე-21 კორპუსის სარდალი) ჯარმა დაიკავა ქალაქი ლუჩჟოუ, სიჩუანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, რასაც დიდ გამარჯვებად სთვლიან. ლიუ ვენ-ჰუის (პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარე) ჯარი, ჩინური გაზეთების სიტყვით, სრულიად დამარცხდა და უკან იხევს (სიუჩჟოუსაკენ ლუჩჟოუს დასავლეთით (ადს).

## შეერთებული შტატები წინააღმდეგია ვალების მორატორიუმის

**პარიზი,** 21 ნოემბერი. „პტი ჟურნალ"-ი აქვეყნებს ამერიკის სენატორის—დემოკრატ სვენსონის, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატის საუბარს „პტი ჟურნალ"-ის კორესპონდენტთან. სვენსონი წინააღმდეგია ვალების ყოველგვარი მორატორიუმის, რომელიც გამოიწვევს ვალების გაუქმებას. მისი აზრით, საფრანგეთს შეუძლია გადაიხადოს 15 დეკემბერს ხვედრი ვალი 19 მილიონი დოლარი. ალბათ, ინგლისიც შემოიტანს დეკემბერში გადასახდელ ხვედრ ვალს. ამერიკელები ვერ დაუშვებენ, რომ საფრანგეთმა იხადოს ვალი მხოლოდ მას შემდეგ, როცა გერმანიისაგან მიიღებს ფულს. კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ საფრანგეთის ვალები წარმოადგენენ „გამარჯვებისათვის გაწეულ საერთო ხარჯებს", სვენსონმა უპასუხა: „იქნებ არ შეგიტყვიათ ჩვენი აზრი, როცა გერმანიის წინააღმდეგ ვიბრძოდით" (ადს).

## ღრმავდება ეკონომიური კრიზისი

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი. ოფიციალური სტატისტიკური ცნობები მოწმობენ ეკონომიური კრიზისის შემდგომ გაღრმავებას შეერთებულ შტატებში. ლითონის ჩამომსხმელი მრეწველობა ამჟამად დატვირთულია საწარმოო სიმძლავრის მხოლოდ 17 პროცენტით, მაშინ როდესაც ოქტომბერში დატვირთვა უდრიდა 20 პროცენტს. რკინის გზის ტვირთბრუნვა ოქტომბერთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. სამშენებლო ფირმები აღნიშნავენ, რომ უახლოეს თვეებში ძალზე შემცირდება მშენებლობა, რომელიც ამჟამად კრიზისამდე არსებულ საამშენებლო სამუშაოთა 25 პროც. შეადგენს.

ვაჭრობის სამინისტროს ცნობით 1932 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ექსპორტმა შეადგინა 1342 მილ. დოლარს, ხოლო იმპორტი 1.122 მილ. დოლარს., 1931 წლის ამავე პერიოდში კი ექსპორტი შეადგენდა 2.047 მილ. და იმპორტი 1.787 მილ. დოლარს.

## საფრანგეთის ბანკირების ახალი პროცესი

**პარიზი,** 21 ნოემ. სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს სკანდალი, რომელიც გამოიწვია ბანკების მიერ გადასახადების გადამალვამ. ბაზელის კომერციული ბანკის პირველ საქმეს, რომელშიც გარეულია 1018 კაცი, მოჰყვა მეორე საქმე რომელშიც გარეულია 400 კაცი. როგორც მთავარი ბრალდებული პასუხისგებაში მიცემული არის [illegible] და [illegible] ბანკის წარმომადგენელი პარიზში ლომბარდი აღმოჩენილია ახალი ანალოგიური საქმე, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ვინმე ბრანდენბურგი—[illegible] ბანკის წარმომადგენელი (ადს).

### ერიოს განცხადება ინგრადის სადგურზე თავდასხმის შესახებ

**პარიზი,** 21 ნოემბერი. გაზეთები ათავსებენ ერიოს განცხადებას, რომ თავდასხმა ინგრადის რკინის გზის სადგურზე ბრეტონელ ავტონომისტების მოწყობილია (ადს).

## საბჭოთა კავშირის მიღწევები არქტიკის შესწავლის დარგში

**ტოკიო,** 21 ნოემბერი. ტოკიოს გეოგრაფიული საზოგადოების პლენუმზე, რომელსაც დაესწრნენ იაპონიის გამოჩენილი სამეცნიერო მოღვაწეები და სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ყინულისმჭრელ „სიბირიაკოვ"-ის კაპიტანმა ამხ. ვორონინმა და პროფესორმა ვიზემ გააკეთეს მოხსენება „სიბირიაკოვ"-ის ექსპედიციის ლაშქრობის შესახებ. პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქტიკის რაიონების სისტემატიურ შესწავლას, რასაც ასეთი დიდი მასშტაბით პირველად აწარმოებენ საბჭოთა კავშირის მეცნიერები (ადს).

## ბრძოლა საქონლის ვაგონის მიმოქცევის გაუმჯობესებისათვის

### მთელი რკინის გზის ტრანსპორტის ცენტრალური ამოცანაა

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ანდრეევმა 1932 წლის 21 ნოემბერს გამოსცა ბრძანება საქონლის ვაგონების მიმოქცევის შესახებ.

—საქონლის დატვირთვა გზებზე მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, ნათქვამია ბრძანებაში,—მიმდინარეობს უფრო უკეთ, ვიდრე გასული წლის მეოთხე კვარტალში. ეს მდგომარეობა შექმნა იმან, რომ გზების უმრავლესობაში გაუარესდა საქონლის ვაგონის მიმოქცევა. ამის გამო რკინის გზები კარგავენ სადღე-ღამისო დასატვირთავ 4—5 ათას ვაგონს. გზების მუშაობის გაუმჯობესებას უმთავრესად ხელს უშლის ვაგონის გაცდენა.

იმ მიზნით, რომ უახლოეს ვადაში მიღწეულ იქნას ვაგონის მიმოქცევის გადაჭრით გაუმჯობესება გზების სატვირთო მუშაობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, წინადადება ეძლევა გზათა დირექციებს და ყველა საექსპლოატაციო რაიონებს თავიდან ბოლომდე ბრძოლა ვაგონის ბრუნვის გაუმჯობესებისა და მისი სწრაფი მიმოქცევისათვის, როგორც დატვირთული, ისე ცარიელი სახით, გადააქციონ მთელი ყოველდღიური მუშაობის ცენტრალურ ამოცანად. რომ 15 დეკემბრისათვის მიღწეულ იქნას ვაგონების ყოველგვარი გაცდენის შემცირება დაწესებულ ნორმებამდე მაინც.

საჭიროა აღმოიფხვრას მატარებლების ჯგუფურად მოსვლა. მთელი მოძრაობა უნდა სწარმოებდეს გრაფიკის და ცხრილის მიხედვით.

ამ წესების ყოველგვარი დარღვევისათვის დამნაშავენი დაუყოვნებლივ უნდა დაისაჯონ.

უნდა მოისპოს მატარებელთა შემადგენლობის ხშირი განმეორებითი დახარისხება სადგურებზე. ამასთან მიღწეულ უნდა იქნას მატარებელთა სწორად შედგენა და მათი კონცენტრაციის გადიდება.

ერთი დეკადის ვადაში დამუშავდეს თვითეულ განმკარგულებელ ტექნიკურ სადგურზე ისეთი მიღებების წინააღმდეგ ბრძოლის ზომები, როგორიცაა: ვაგონების გაცდენა სატვირთო ოპერაციების დროს და ვაგონების სარემონტოდ ჩამოყენების ლოდინში.

მტკიცედ იქნას გამოყენებული ყველა კანონიერი ზომები იმ კლიენტურის მიმართ, რომელიც უგულებელყოფს სავაგონო პარკის ნორმალური სარგებლობის სახელმწიფო ინტერესებს და აცდენს ვაგონებს დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს.

მიღწეულ იქნას გზათა სახალხო კომისარიატის მომწესრიგებელ განკარგულებების უეჭველად შესრულება თავიდან ბოლომდე.

იმ მიზნით, რომ მოხდეს თვითდინების ლიკვიდაცია სადგურების მუშაობაში და შეტანილ იქნას გარკვეულობა და გეგმიანობა, ყველა ტექნიკური განმკარგულებელ და, დამხარისხებელ სადგურებზე, დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას სადგურის უფროსის სადისპეტჩერო მოხსენების წესი განვლილი დღე-ღამის მუშაობის შედეგების განსახილველად, შემდეგი დღე-ღამის მუშაობის გეგმის შესადგენად და სადგურის მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესებისათვის კონკრეტული ზომების დაუყოვნებლივ მისაღებად. რაიონების, დირექციების და გზათა სახალხო კომისარიატის სადისპეტჩერო თათბირებზე შემოღებულ იქნას ვაგონის მიმოქცევის მდგომარეობის სისტემატიური შემოწმება სადგურების, რაიონების და გზების მიხედვით და დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული საჭირო ზომები, რომლებიც გამომდინარეობენ ცალკე სადგურების, რაიონების და გზების მუშაობის მდგომარეობიდან.

უდიდესი სადგურებისათვის ვაგონის მიმოქცევის გაუმჯობესების საქმეში დახმარების გასაწევად, მივლინებულ იქნან ერთი თვის ვადით 52 უმნიშვნელოვანეს საკვანძო სადგურზე გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები და რკინის გზის ტრანსპორტის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

გზების, რაიონების და სადგურების ხელმძღვანელები, აგრეთვე მივლინებული მუშაკები ვალდებულნი არიან რკინის გზის ტრანსპორტის პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ ვაგონის მიმოქცევის სასწრაფოდ გაუმჯობესების საქმე გადაიქცეს რკინის გზის ტრანსპორტის ყველა ორგანიზაციების და რკინის გზელთა მთელი მასის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად (ადს).

### ჩაი

## გავაძლიეროთ ჩაის ნიადაგის მომზადების ტემპები

### ჩაის ნიადაგის მომზადება 20 ნოემბრისათვის

მიმდინარე წელს საქ. კოლმეურნეობებში ჩაისათვის ნიადაგი გეგმით მომზადებული უნდა იქნას სულ 4.000 ჰექტარზე. აქედან ხელით 2.251 ჰექტ. და ტრაქტორით 1.749 ჰექტ.

საქ. ტრაქტორცენტრის ცნობით 20 ნოემბრისათვის კოლმეურნეობებში მომზადებული იყო ნიადაგი 2.663.1 ჰექტარის რაოდენობით, რაც გეგმის 66.6 პროც. უდრის, ხელით მომზადებული იყო 1367 ჰექტ., — გეგმის 60.7 პროც. და ტრაქტორებით 1.296.1 ჰექტ. — გეგმის 70 პროც.

რაიონების მიხედვით ჩაის ნიადაგის მომზადების საქმეში ასეთი სურათი იყო:

| რაიონები | მომზადებულია ნიადაგი (ჰექტარობით) | შესრულებულია პროცენტებში |
|---|---|---|
| ბათომის | 84 | 80 |
| ქობულეთის | 61,8 | 72,7 |
| გალის | 172,9 | 50,3 |
| კოდორის | 242 | 80,7 |
| ოზურგეთის | 686 | 101,6 |
| ჩოხატაურის | 70 | 53,3 |
| ლანჩხუთის | 42 | 21 |
| სამტრედიის | 174 | 75,6 |
| ქუთაისის | 28 | 46,7 |
| ხონის | 170 | 73,9 |
| ვანის | 9 | 25,7 |
| ოკრიბის | 199,6 | 88,3 |
| სენაკის | 63 | 63 |
| მარტვილის | 139 | 51,5 |
| ზუგდიდის | 141,4 | 35,5 |
| წალენჯიხის | 181,9 | 72,8 |
| ჩხოროწყუს | 138,5 | 55,4 |
| ხობის | 60 | 50 |
| სულ | 2.663,1 | 66,6 |

**ხელით პლანტაჟის გეგმა უკვე შესრულებული ქონდა ოზურგეთის რაიონს (125.3 პროც.). წინ მიდიან:** ბათომის, ქობულეთის, კოდორის, ოკრიბის; სენაკის, და ხობის რაიონები. ჩამორჩნენ:—გალის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ქუთაისის, ხონის; ვანის, მარტვილის, ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონები.

**ნიადაგის ტრაქტორებით მომზადების გეგმა 20 ნოემბრისათვის შეასრულეს: ჩოხატაურის რაიონმა — 101.2 პროც., სამტრედიის რაიონმა — 145 პროცენტით და აფხაზეთის ს.ს.რ.-მ 125 პროც.**

## მარტვილის რაიონი—შავი დაფის კანდიდატია

ჩაის ნიადაგის მომზადება **მარტვილის** რაიონში დაუშვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩაის გეგმების შესრულებას. გარდა ამისა ადგილებზე საგრძნობლად მოისუსტებს მასიურ-პოლიტიკური მუშაობა, რაიონული ორგანიზაციები კოლმეურნეობებს და ჩაის სპეციალურ ბრიგადებს არ უწევენ ოპერატიულ-კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

ყოველივე ამან საგრძნობლად შეაფერხა ჩაის ნიადაგის მომზადების გეგმის ვადაზე შესრულების საქმე. 20 ნოემბრისათვის კოლმეურნეობებში სულ მომზადებული იყო 139 ჰექტარი, რაც გეგმის 51,5 პროც. შეადგენს.

ჩაის ნიადაგის **ხელით** მომზადების მხრივ **სამარცხვინოდ ჩამორჩნენ: მარტვილის, ხუნწის, გაჭედილის, კიზის, თამაკონის, დიდიჭყონის, სალხინოს, კურზუს, ბანძას, ლეხაინდრაოს და ონოღლის სას. საბჭოები. წინ მიდიან მხოლოდ ნაგვაზაოს და ჭოლოს სას. საბჭოები.**

მარტვილის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ არ არის დრო რაიონისათვის მიცემული დავალების შესრულებისათვის.

**პ. მიქაძე.**

ჩაქვი. ბუჩქის შეკრება

## ჩამორჩენა, გამოწვეულია საკოლმეურნეო ბრიგადების მოუწყობლობით

### (წერილი ქობულეთიდან)

ჩაის ნიადაგის მომზადება და თესლის შეგროვება ქობულეთის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მესამე კვარტალი რაიონმა გარღვევებით დაამთავრა. ეს მდგომარეობა ავალებდა რაიონულ და ძირეულ ორგანიზაციებს ისე გაეძლიერებინათ მუშაობა, რომ მეოთხე კვარტალში უზრუნველეყოთ დანაკლისის დაფარვა, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული გარდატეხა.

განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს ჩაის ნიადაგის მომზადება. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ჩაისათვის უნდა მომზადდეს ნიადაგი სულ—239 ჰექტ. აქედან საბჭოთა მეურნეობებში 97 ჰექტ. და კოლმეურნეობებში 142 ჰექტ. 10 ნოემბრისათვის ფაქტიურად მომზადებული იყო ნიადაგი—94,1 ჰექტ. რაოდენობით, რაც წლიური გეგმის 39.4 პროც. უდრის. გაუვანილია ტრანშეი—97 ჰექტარიდან—48.5 ჰექტ.—გეგმის 50 პროც. საბჭოთა მეურნეობებს წლიური გეგმა შესრულებული ქონდათ 22,6 პროც. ხოლო კოლმეურნეობებს 50.8 პროც.

ასეთი მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ჩაის საკითხებზე მოწვეულ რესპუბლიკანურ პარტთათბირის ღონისძიებებისა და საქ. კ.პ. (ბ) ცკას 16 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებში (დიდიჯიხე, ხალა, სტალინის უბანი და სხვა) ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სპეციალური ბრიგადები. ზოგიერთი სასოფლო საბჭოები ჩაის ნიადაგის მომზადების დაწყებას, მოსავლის აღებისა და განაწილების შემდეგ აპირებენ, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

იქ, სადაც პარტთათბირის ღონისძიებები დამუშავებული იქნა კოლმეურნეთა და ღარიბ საშუალო გლეხობის ფართო მასებში, გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მაგალითად: სოფ. ზუკნარის კოლმეურნეობა „განთიადში" პარტთათბირის შედეგების დამუშავებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ჩაის 4 სპეციალური ბრიგადა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან ჩაის ნიადაგის მომზადების გეგმების ვადაზე შესრულებისათვის.

რაიონში უკვე დაიწყო ჩაის თესლის მასიური აკრეფა. წელს რაიონმა უნდა დაამზადოს სულ 367.000 კილოგრამი თესლი. **10 ნოემბრისათვის დამზადებული იყო სულ—100,664 კილოგრამი გეგმის 27,1 პროც.** თესლის დამზადების გეგმა საბჭოთა მეურნეობებში შესრულებული იყო — 36.6 პროც. კოლმეურნეობებში 19.5 პროცენტი, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებში 10,8 პროც.

თესლის აკრეფა უნდა ჩავატაროთ დანაკარგებთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ. **არც ერთი კილოგრამი ჩაის თესლი აუკრეფავი.**

**ტ. ჩ—ძე.**

◆

## გავწმინდოთ სოფლის პარტორგანიზაციები კულაკური ელემენტებისაგან

### „პრავდა" ჩრ.-კავკ. სოფლის პარტორგანიზაციების წმენდის გაკვეთილების შესახებ

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. 21 ნოემბრის „პრავდა" აქვეყნებს ცნობებს ჩრდილოეთ-კავკასიის სოფლის პარტორგანიზაციების წმენდის გაკვეთილების შესახებ.

„წმენდის უკვე პირველ დღეებშივე აშკარავდება ჩრდილოეთ კავკასიის სასოფლო ორგანიზაციების ძირითადი შეცდომები, რომლებმაც გამოიწვიეს პურის დამზადების და თესვის გეგმების სამარცხვინო ჩაშლა ბევრ რაიონში. წმენდამ ცხადჰყო სოფლის უჯრედების დანაგვიანება უცხო ელემენტებით. ხშირად უჯრედების მდივნებად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ პარტიასთან, კოლმეურნეობა „ისკრა სოციალიზმა"-ში (კუშჩევსკის რაიონი) მიცვალებულთა დაკრძალვა სწარმოებდა საეკლესიო წესით — ხუცესით, საცეცხლურით და მგალობლებით. დაკრძალვაზე გამოცხადდა თვით უჯრედის მდივანი გრიგორიანკო. მოწიწებით მივიდა მღვდელთან ლოცვა-კურთხევის მისაღებათ, სასოებით გარდიასახა პირჯვარი ხატებთან და დაიწყო გალობა".

აღმოჩნდენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც სათავეში ჩაუდგენ კულაკების საბოტაჟს პურის დამზადების და თესვის საქმეში. კულაკმა შეძლო ნათესაური კავშირის გზით ადგილობრივ კომუნისტებთან.

წმენდაზე გამოაშკარავებულ მეორე [illegible] წარმოადგენს მთელ რიგ სასოფლო პარტიული და კომკავშირულ უჯრედების პირწავარდნილი ოპორტუნიზმი, რაც, როგორც „პრავდა" აღნიშნავს, მიდის პროლეტარული რევოლუციის საქმის და მუშურ გლეხური სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირ ღალატამდე. სოფლის ბევრი [illegible] დანაშაულებრივი სიბრმავე ხელს უწყობდა კულაკობის ნაშთების აქტივიზაციას. კლასობრივმა მტრებმა მთელ რიგ ადგილებში დაიპყრეს მბრძანებელი მაღლობები.

„პრავდა"-ს მოჰყავს ამონაწერი ბესკორბნენსკაიას პარტუჯრედის ბიუროს ოქმიდან: „დაადგინეს: ჩაითვალოს, რომ [illegible] არ გამოსულა პურის დამზადების წინააღმდეგ, მან მხოლოდ სთქვა, რომ პურს არ გავიტანთ".

სტანიცა ირინოვკაში (კუშჩევსკის რაიონი) არის ორი წისქვილი, რომლებიც წინანდელ პატრონების ხელშია. მაგრამ სტანიცის პარტკომის მდივანს ეს არ აოცებს და მათ ღარიბ გლეხებად სთვლის.

დიდი აურ-ზაური გამოიწვია კოტოვის ცნობილმა საქმემ. საკოლმეურნეო უჯრედის მდივანმა კოტოვმა (სტანიცა ოტრადნაია) დაადასტურა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მოწესრიგებულად ანიავებდენ პურს.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ რაიონულ პარტორგანიზაციებს არ აინტერესებდათ სოფლის პარტუჯრედების მდგომარეობა.

„პრავდა"-ს წმენდის შედეგების შეჯამებიდან გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „პარტიის და მთავრობის ღონისძიებათა ბოროტი საბოტაჟი, კოლმეურნეთა ჩამორჩენილი ნაწილის და თვით კომუნისტების ერთი ნაწილის გამოყენება ამ მიზნით, რაც ახასიათებს კლასობრივი მტრის ეხლანდელ ტაქტიკას სოფლად, ამას ნათლად მოწმობს ჩრდილოეთ კავკასიის გაკვეთილები.

ეს „პრავდა"-ს დასკვნით, დღის წესრიგში აყენებს სამ ძირითად ამოცანას:

**„1. გავწმინდოთ სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები კულაკური ელემენტებისაგან, კომუნიზმის საქმისათვის უცხო ადამიანებისაგან, რომლებიც ატარებენ კულაკურ პოლიტიკას, გაიხრწნენ და არ ძალუძთ განახორციელონ პარტიის პოლიტიკა სოფლად.**

**2. გადავაქციოთ სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ნამდვილ ბოლშევიკურ მებრძოლ ორგანიზაციებად, რომლებსაც შეუძლიათ ნამდვილად გაატარონ პარტის ხაზი, წინააღმდეგობა გაუწიონ კულაკურ და ოპორტუნისტულ ელემენტებს და შემოიკრიბონ კოლმეურნეთა აქტივი, ურომლისოდ ჩვენ ვერ გადავჭრით ურთულეს ამოცანებს სოფლად.**

**3. გავგზავნოთ ხელმძღვანელ პარტიულ და კომკავშირულ სამუშაოზე სოფლად და რაიონებში ნამდვილად გამოცდილი და შემოწმებული აქტივისტები"** (ადს).

## განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა საწარმოებსა და დაწესებულებებში

### საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარი ამხ. ციხონი სამუშაოს გაცდენასთან ბრძოლის შესახებ

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. „იზვესტია"-ში მოთავსებულია საუბარი საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარ ამხ. ციხონთან.

„საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებას არა საპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცების შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობის ლიკვიდაციის შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის სწრაფი განვითარების საფუძველზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს ყოველწლიურად ემატება ახალი მუშათა მილიონები, რომელნიც კადრის მუშებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მაგრამ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში არის მუშების ისეთი ნაწილი, რომელსაც წინად არ უმუშავნიათ მუშურ კოლექტივებში. ისინი არ გადახარშულან პროლეტარულ ქვაბში და მათ არ ესმით მტკიცე დისციპლინის საჭიროება სოციალისტურ წარმოებაში. ეს [illegible], თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ახლად მოსულ მუშებს შორის არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც ამ უკანასკნელ დროს, წარმოებაში ახალი მუშებისათვის დიდი რაოდენობის მოხმარებასთან დაკავშირებით. იმატა, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობაში, ეს კი უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენს წარმოებას.

საბჭოთა მსხვილ საწარმოებს უმრავლესობაში საწარმოო პროცესებს [illegible] მუშათა კოლექტივი—ბრიგადები, ჯგუფები და სხ. ბრიგადის თუნდაც ერთი წევრის გამოუცხადებლობა სამუშაოზე ზოგიერთ შემთხვევაში ძირს უთხრის მთელ საწარმოო პროცესს და ზიანს აყენებს, როგორც წარმოებას, ისე მუშათა ამა თუ იმ კოლექტივის [illegible].

სწორედ შრომისა და წარმოებისადმი ასეთი არაკომუნისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ არის მიმართული მთავრობის გადაწყვეტილება სამუშაოს ბოროტად გამცდენების დათხოვნის შესახებ. მუშურ სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები შრომის დისციპლინის დამრღვევებისა და მუშათა იმ ცალკე ჯგუფების წვრილბურჟუაზიული მოქმედებისაგან, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ საწარმოს მუშაობაში.

შეგნებულმა მუშამ და ყველა იმათთვის, ვინც პატიოსნად ასრულებს თავის დავალებას საწარმოში, უცხოა სამუშაოს გაცდენა. ისინი მუდამ აღშფოთებული იყვნენ საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა დეზორგანიზატორული მოქმედებით. მაგრამ ქარხნის [illegible] და საფაბრიკო-საქარხნო საზოგადოებრიობა დღემდე არ აწარმოებდნენ სათანადო ბრძოლას სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ. ამჟამად ქარხნის ხელმძღვანელობას მიეცათ [illegible] და შესაძლებლობა გააძლიერონ ბრძოლა შრომის დისციპლინის დამრღვევებისა და სამუშაოს ბოროტად გამცდენების წინააღმდეგ.

დღემდე შრომის ორგანოებიც არ აწარმოებდნენ საკმაო ბრძოლას მაღალი შრომის დისციპლინისათვის ჩვენს სოციალისტურ საწარმოებში. ამჟამად განსაკუთრებით შრომის ინსპექტორებს დიდი პასუხისმგებლობა აწევთ, შრომის ინსპექტორებმა პროფორგანიზაციებთან ერთად უნდა გასწიონ კონტროლი, რათა სწორად იქნას განხორციელებული მთავრობის დეკრეტი არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ.

ყოვლადვე ეჭვს გარეშეა, რომ მათ ამ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევს მუშათა მთელი მასა რომლისათვისაც ძვირფასია სოციალისტური წარმოების ინტერესები და რომელსაც არ სურს რომ მას ზიანი შეუძლონ [illegible] და სამუშაო დღის გამცდენლებმა.

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების გამოქვეყნების პირველსავე დღეებში რამდენიმე ათას საბჭოთა საწარმოს მუშებმა შემოიტანეს განცხადებანი, რომ ისინი ესალმებიან ამ დადგენილებას და მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ და გადაჭრით განხორციელებას. აღნიშნული განცხადებანი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი ბოლშევიკურად შეასრულებს მთავრობის ახალ დეკრეტს და უზრუნველყოფს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას საწარმოებსა და დაწესებულებებში, რაც ასე საჭიროა სოციალისტური მშენებლობის სწრაფი ტემპების განხორციელებისათვის (ადს).

### „სამუშაოს გამცდენლებს არა აქვთ ადგილი მუშათა ოჯახში"

**ივანოვო-ვოზნესენსკი,** 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება განხილულ იქნა ივანოვოს [illegible] ფაბრიკის მუშათა ბრიგადულ და ცვლათა კრებებზე. მუშები ერთსულოვნად იწონებენ ამ დადგენილებას.

დიდი [illegible] მანუფაქტურის პირველი და მეორე ცვლის დამკვრელ მუშათა კონფერენციამ გაუგზავნა წერილი საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კალინინს:

„ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ! ჩვენ, დიდი [illegible] მანუფაქტურის მუშები და მუშა ქალები, ვესალმებით მთავრობის გადაწყვეტილებას სამუშაოს გამცდენლების, [illegible] და უცხო ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი მუშაობა სამუშაო დღეების თვითნებურად გაცდენით. სამუშაო დღის გამცდენლებს არა აქვთ ადგილი მუშათა ოჯახში (ადს).

**ჩელიაბინსკი,** 21 ნოემბერი. მთავრობის მიერ სამუშაო დღის გამცდენლებთან ბრძოლის შესახებ გამოცემულ დადგენილების საპასუხოდ, ტრაქტორმშენის, ელექტრომეტალურგიული კომბინატის, რკინის გზის და სხვა საწარმოთა მუშები აყენებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების შემხვედრ გეგმებს და კისრულობენ აქტიურად იბრძოლონ წარმოების დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. სამუშაო დღის ბევრი გამცდენი გმობს წარსულ უდისციპლინობას და სიტყვას იძლევა, რომ მომავალში არ გააცდენს სამუშაო დღეს (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირში

## საკავშირო საკონსულტაციო საბჭო თესლბრუნვის საკითხებზე

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ მოაწყო საკავშირო საკონსულტაციო საბჭო თესლბრუნვის საკითხებზე მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. იაკოვლევის თავმჯდომარეობით. საბჭოში წევრებად შედიან: აკადემიკოსები — ტულაიკოვი, ვილიამსი, ლისკუნი, პრიანიშნიკოვი და პროფესორები: ბაუეროვი, ბუშინსკი, ტალანოვი, დმიტრიევი და სხვ. საბჭო დაამუშავებს ახალი თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მისცემს დასკვნებს თესლბრუნვის პროექტებზე, რომლებსაც წარმოადგენენ ცალკე ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, და გაუწევს აგროტექნიკურ დახმარებას თესლბრუნვის ადგილობრივ ბიუროებს (ალს).

## 1933 წელს გამოვა საბჭოთა კავშირის 12 ეროვნების მწერალთა ახალი თხზულებანი

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. 1933 წელს სახელმწიფო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს საბჭოთა კავშირის 12 ეროვნების (უკრაინის, ბელორუსიის, თათართა რესპუბლიკის, სომხეთის, საქართველოს, ტაჯიკისტანის და სხ.) მწერალთა ახალ თხზულებებს. (ალს).

## „სამეცნიერო აკადემია — ბავშვებს"

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ და გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია"-ს ლენინგრადის განყოფილებამ გადაწყვიტეს გამოსცენ ერთად წიგნების სერია საერთო სახელწოდებით „სამეცნიერო აკადემია — ბავშვებს". ამ წიგნებმა ბავშვებს შორის უნდა გაუწიონ საბჭოთა მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა. (ალს).

## გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მე-2 პლენუმი

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. მოსკოვში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმი. საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. შვერნიკმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ფაბრიკა-ქარხნული კომიტეტების მუშაობის შესახებ (ალს).

## თათბირი ქალთა შრომის საკითხებზე

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკთან შედგა თათბირი ქალთა შრომის საკითხებზე. მოხსენებებით სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა ჩაბმის შედეგების და პერსპექტივების შესახებ გამოვიდნენ მთელი რიგი დაწესებულებების და სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

წლითი-წლობით მატულობს ქალების მონაწილეობა სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის ყველა დარგებში მარტო 1931 და 1932 წლების მანძილზე საწარმოებსა და დაწესებულებებში ჩაბმულია დაახლოებით 2.800 ათასი ქალი. თუ ქალთა შრომის ხვედრითი წონა 1929 წ. დასაწყისს შეადგენდა 28,3 პრ. 1932 წ. დამლევისათვის იგი გაიზარდა 33,3 პროცენტამდე. სულ ამჟამად სახალხო მეურნეობაში ჩაბმულია დაახლოებით 6,5 მილიონი ქალი.

ქალი არამც თუ მარტო მუშაობს წარმოებაში, არამედ იგი მამაკაცთან ერთად სწავლობს ყველა სასწავლებლებში 1926 წლიდან 1932 წლამდე უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა რიცხვი 47,8 ათასიდან გაიზარდა 112 ათასამდე, ტექნიკუმებში მოსწავლე ქალთა რიცხვი კი 69,7 ათასიდან გაიზარდა 29,9 ათასამდე და სხვ. (ალს).

## „სიბირიაკოვ"-ის ექსპედიცია ჩავიდა ვლადივოსტოკში

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. „სიბირიაკოვ"-ის ექსპედიციის უფროსს ამხ. შმიდტის დეპეშა:

„მოსკოვი, რევოლუციური სამხედრო საბჭოს—ამხ. კამენევს.

21 ნოემბერს პირადი შემადგენლობა იაპონიის გემით ჩამოვიდა ვლადივოსტოკში. „სიბირიაკოვ"-ი დარჩა იოკოგამაში შესაკეთებლად. უზომოდ მოხარული ვართ, რომ დავბრუნდით. გიძღვნით გულითად სალამს. იაპონიაში ყოფნის დროს მოგვიწია მოხსენებების და ჩვენი პატივსაცემად გამართულ დარბაზობას. მოსკოვში ჩამოვალთ 4 დეკემბერს. ექსპედიციის უფროსი შმიდტი" (ალს).

## „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა"

**მოსკოვი**, 21 ნოემბერი. გამომცემლობა „ფედერაცია", საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მომავალი ათი წლისთავის აღსანიშნავად, უშვებს მხატვრული ლიტერატურის სერიას (40—50 წიგნი) სათაურით „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა". პირველ რიგში გამოშვებულ იქნება უკრაინის, ბელორუსიის საქართველოს, სომხეთის, თათართა რესპუბლიკის, შუა აზიის და ებრაელ მწერლების წიგნები მუშაობა სწარმოებს დაჩქარებული წესით. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრებში გაემგზავრნენ გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს წარმომადგენლები (ალს).

## მუშათა ინტერნაციონალური დელეგაცია მაგნიტოგორსკში

**მაგნიტოგორსკი**, 21 ნოემბერი. მაგნიტოგორსკს ეწვია ინტერნაციონალური მუშათა დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად. დელეგაციაში შედიან ამხანაგები გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან და ამერიკიდან.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს დელეგატებმა გაუზიარეს მას თავიანთი შთაბეჭდილებანი მაგნიტოგორსკის შესახებ.

„გიგანტური აგრეგატების ისეთი გაუმჯობესებული კომპლექსი, — განაცხადეს დელეგატებმა,—რომელიც ჩვენ აქ ვნახეთ და, რომელიც წარმოადგენს ურალ-კუზნეცკის კომბინატის მხოლოდ ერთ ნაწილს, შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ ქვეყანაში.

ყველაზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ახალი ადამიანის სახე, რომელმაც შეიგნო ადამიანის გენიის ბუმბერაზული კოლექტიური ძალა, ადამიანის, რომელმაც ისწავლა ამ ძალის გამოყენება".

უცხოელი ამხანაგები პირადად გაეცნენ კოქსქიმკომბინატის დამკვრელ მუშას ამხ. კალმიკოვს, რომლის საქმიანობა მაგნიტოსტროიზე ნაჩვენებია ჟურნალ „ს.ს.ს.რ. ნასტროიკე"-ში.

საზღვარგარეთ დაბრუნების შემდეგ — განაცხადეს დელეგატებმა, — ჩვენ ვეტყვით იქაურ მუშებს, რომ საბჭოთა კავშირში ვნახეთ მშვენიერი ცხოვრება, რომლის შექმნაც თვით მუშების საქმეა".

დელეგატები გაეცნენ მაღაროს, ბრძმედებს, და მაგნიტოგორსკის ელსადგურს, სადაც ინახება წითელი ეიდინგის გარდამავალი დროშა, მარტენის და საგლინავი ქარხნის მშენებლობას.

დელეგაციამ ორი საღამო მოანდომა დამკვრელებთან და მაგნიტოგორსკის უცხოელ მუშებთან საუბარს (ალს).

# სვანეთის გზა

ზემო-სვანეთის გზა, რომლის მშენებლობა დაიწყო 1929 წელს, უკვე დამთავრებულია 80 კილომეტრის მანძილზე და 18—19 ნოემბერს მოხდა ზეიმით გახსნა.

სადღესასწაულო გახსნაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ საქართველოს ცაკის და გზის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე**, საქგზატრანსის უფროსი ამხ. **ქურდაძე**, ზუგდიდის სარაიონო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ჟვანია** და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

გზა იწყება მდინარე მაგანაზე (ენგურის შენაკადი) აგებული კაპიტალური ხიდით, რომლის სიგრძე 80 მეტრს უდრის. ეს ახალი კონსტრუქციის თაღოვანი ხიდი, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში, შენდება, როგორც საცდელი მშენებლობის ობიექტი. მას მთელი რიგი უპირატესობა აქვს სხვა კონსტრუქციის და სისტემის ხიდების წინაშე, რის გამო იგი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. სხვათა გარდა, ამ სისტემის ხიდს აქვს ის უპირატესობა, რომ არ საჭიროებს ორთაშორისი საყრდენობს და დროებითი ხის ფიცარნაგს.

ხიდის აგება ამ დღეებში დამთავრდება. ხიდი დამზადებულია ჩვენს საბჭოთა ქარხნებში და მის შეკრებაზე მუშაობენ საბჭოთა მუშები და სპეციალისტები.

ჯვარში ჩვენ მხიარული სახით შეგვხვდნენ გლეხები ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების მეთაურობით. გლეხებმა ოვაცია გაუმართეს მათთვის საყვარელ ამხ. ფილიპე მახარაძეს და შემდეგ ყველანი მივედით მაგანის ხიდთან, რომლის ხელოვნურად მორთულ მწვანე თაღზე გაკრული იყო წითელი ლენტი.

თავიდან თავი მოიყარეს მოსწავლეებმა, გლეხებმა და ხიდის ყველა მუშებმა და საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა. ყველანი მხიარული და კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ ამთავრებენ ხიდის მშენებლობას.

ხიდის პროექტის ავტორმა და მშენებლობის ხელმძღვანელმა ინჟინერმა კრილცოვმა მუშათა ბრიგადის სახელით ამხ. ფილიპე მახარაძეს გადასცა პატაკი. მან განაცხადა, რომ ხიდის შეკრება კარგად მიმდინარეობს და, მუშების და ტექნიკური პერსონალის ენთუზიაზმის მოხედვით მუშაობა ძირითადად დამთავრებულია.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძემ მოულოცა ყველა შეკრებილთ გზის გახსნა, სამუშაოთა უფროსის ამხ. გაბლიანისაგან მიიღო მაკრატელი, გასჭრა ლენტი და ყველანი გავემართეთ ტრიბუნისაკენ.

მიტინგი გახსნა წალენჯიხის რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარემ.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც ვრცლად აღნიშნა სვანეთის გზის და მაგანის ხიდის მნიშვნელობა და ის სიძნელეები, რომელთა გადალახვა მოუხდათ მუშებს და ტექნიკურ პერსონალს, და მოულოცა ყველას მუშაობის წარმატებით დამთავრება.

მუშათა ბრიგადის წარმომადგენელმა, ბრიგადირმა სურმანიძემ აღნიშნა, რომ ყველა მუშები დაეუფლნენ საბჭოთა კავშირში პირველი საცდელი ხიდის მშენებლობის ტექნიკას და რომ ახალი კონსტრუქციის სხვა ხიდების მშენებლობა შეიძლება ჩატარდეს საკმაო გამოცდილებით და დაუბრკოლებლად.

მიტინგი დამთავრდა საუკეთესო მუშების და ტექპერსონალის დაჯილდოებით და დაიწყო ხიდის დათვალიერება. ხიდის დროებითი ფენილზე გაიარა ყველა მსუბუქმა მანქანებმა, ავტობუსებმა, სატვირთო ავტომობილებმა და მრავალმა ხალხმა „ვაშა"-ს და „ურა"-ს ძახილით.

ხიდს იქით 2 კილომეტრის მანძილზე გზა გაყვანილია თიხოვან-ქვიან ყამირზე, შემდეგ იწყება პირქუში კლდეები, რომელნიც თავისი სილამაზით და სიდიადით ამშვენებენ მთელს სვანეთის გზას.

აი სოფელი ხაიში, რომლის განცვიფრებული მცხოვრებნი „ვაშა"-ს ძახილით ხვდებიან და აცილებენ მანქანებს, შემდეგ მიდის სოფლები შერქმენი, ხუდონი, ბაგურქელი და სხვ. მცხოვრებნი სიხარულით გამორბიან გზაზე იმის სანახავად, რაზედაც არც კი ოცნებობდნენ; თვითეული მათგანი მიუთითებს ავტომობილზე და ამბობს: „ამხ. მახარაძე".

ხაიშიდან ადგილმდებარეობა ძალზე კლდიანია. მთელი გზა (80 პროცენტი) გაჭრილია კლდეებში, რომლისაც აფეთქებულ ნანგრევით: მარჯვნივ მაღალი კლდეები, მარცხნივ მდინარე ენგური, წინ კი დახლართული გზა გველივით მიიკლაკნება ახალ კლდეებისაკენ.

ენგურის მეორე ნაპირიც მეტად პირქუშია. მაღალი კლდოვანი ქედები განათებულია მზით, რომელიც დღეს თითქმის ჩვეულებრივზე ძლიერ ანათებს. უცნობი მთელი ხეობის დღესასწაული. კონტრასტი ღელეზე ალამაზებს ველური ადგილების ზღაპრულ სილამაზეს.

აი სოფელი ხუბერი, სადაც ჩვენ ვისვენებთ. 20 კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანები შეჩერდნენ და გზიდან ჩვენ ყველანი გადავედით მინდორზე, სადაც მოთავსებულია სამუშაოების უფროსის კანტორა, საწყობები და ბარაკები ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალისათვის. აქ ჩვენ გავათიეთ ღამე და ხვალ დილით გავემგზავრეთ სოფელ ნაწიხქვილში, რომელიც მდებარეობს გზის დასაწყისიდან 80 კილომეტრის მანძილზე. აქ ღამე ვათევთ იმიტომ, რომ ნაწიხქვილში მიტინგზე გლეხები ზემო სოფლებიდან მხოლოდ ხვალ ჩამოვლენ.

მთელი სვანეთი გამოცოცხლდა. ხუბერში მინდორზე ჩვენ დაგვხვდნენ ჩამოსული გლეხები. მათთვის ხუბერის რაიონის ცენტრს ამჟამად წარმოადგენს ეს მინდორი, საიდანაც ხელმძღვანელობენ მთელი გზის მშენებლობას.

გლეხები მიესალმნენ ამხ. ფ. მახარაძეს, რომელიც სვანეთის გზის შეფია და რომელმაც ამ გზისათვის ბევრი რამ გააკეთა. გლეხები სათითაოთ მიდიოდნენ ამხ. მახარაძესთან, ესალმებოდნენ, მადლობას უხდიდნენ გზისათვის და მოხუცების თვალებში სიხარულის ცრემლი ბრწყინავდა. „დღეს ორმაგი დღესასწაულია", სთქვა ერთმა. „ჯერ ერთი, სტუმრად გვეწვიე შენ ამხ. ფილიპე, მეორე, შენ გახსენი გზა, რომელიც შენვე მოგვეცი ჩვენ სარგებლობისათვის".

უცებ გაისმა სროლა. ეს იმის ნიშანია, რომ მოვიდა სვანეთის გუნდი დროშებით. ცხენოსანი სვანები ნაციონალური ხმლებით ჩამოდიან ზევიდან მინდორზე. გუნდი წარმოადგენს გაბედულ კავალერისტებს, რომელნიც აღზარდა მთების მკაცრმა ბუნებამ და, რომელთაც უხდებოდათ ბუნების ყველა დაბრკოლებათა დაძლევა.

ბევრ მათგანს მოაქვს საჩუქარი სტუმრებისათვის: მოკლული ჯიხვები, ჯეირნები და ნადირების სხვა ნადავლი.

დაიწყო სახალხო გართობა: გუნდის სიმღერები, ცეკვა ეროვნულ მუსიკის ჰანგებზე, რომელსაც სცემდა სამხედრო ორკესტრი. ყველაფერი ეს ხუბერის მინდორზე გაშლილი კოცონების ფონზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო ჩამოსულებზე, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებზედაც. შუაღამე უკვე გადავიდა და ჯერ კიდევ ისმის სამხედრო და ადგილობრივი ორკესტრების ჰანგები.

სტუმრებს უკვე ეძინათ. ხუბერის მინდორზე შეკრებილი გლეხები კი განაგრძობდნენ მხიარულებას და ერთმანეთს უზიარებდნენ სიხარულით შთაბეჭდილებებს.

გათენდა. ყველანი მზად არიან განაგრძონ გზა კლდეებს შორის და დატკბნენ ველური ბუნების ზღაპრული სილამაზით. ჩვენი მგზავრობის საბოლოო მიზანია მიტინგი სოფელ ნაწიხქვილში, სადაც ავტომობილები მოვიდნენ ორკესტრის ხმაურში და კლდეების აფეთქების გუგუნში.

მიტინგზე ჩამოსული იყო მრავალი სვანი სვანეთის ყველა კუთხიდან და ნაწიხქვილის დიდი მინდორი წააგავდა ბანაკს, რომელიც დაფარული იყო ხალხით და ცხენებით.

ცხენით და ქვეითად განუწყვეტლივ მოდიოდნენ მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ახალგაზრდები და ბავშვები ამხ. მახარაძის სანახავად, რომლის სახელი გავარდნილია მთელს სვანეთში.

მიტინგი გახსნა ზემო-სვანეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, რომელმაც მოკლე სიტყვაში გააცნო კრებას ის უდიდესი დაბრკოლებებით აღსავსე მუშაობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაატარა ზემო-სვანეთის გლეხობისათვის.

ტრიბუნაზე ავიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მან ვრცელ სიტყვაში დაახასიათა გზის მნიშვნელობა სვანეთის გლეხობისათვის და აღნიშნა გლეხობის შრომითი და ფულადი მონაწილეობა ამ მშენებლობაში.

საქ. გზატრანსის უფროსი ამხ. ქურდაძე და მთავარი ინჟინერი ტევენკირიევი მიესალმნენ გლეხებს, აღნიშნეს შესრულებული მუშაობის სიძნელენი და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის ენერგია.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კომპარტიის (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ჟვანიამ, რომელმაც მოულოცა გლეხებს გზის გახსნა, რასაც ასე დიდხანს მოელოდა სვანეთი.

ტრიბუნაზე ადიოდნენ გლეხები და გლეხი ქალები, რომელნიც გამოსთქვამდნენ მთელი სვანეთის მცხოვრებთა სიხარულს. მათ ავტომობილები დაინახეს იქ, სადაც დატვირთული ცხენის გარდა, რომელსაც 107 კილომეტრის მანძილზე მოჰქონდა პირველი საჭიროების საგნები, არაფერი უნახავთ, სადაც არც ერთ ურემს არ გაუვლია.

მთელი მიტინგის განმავლობაში ცხენოსნები განუწყვეტლივ მოდიოდნენ ზეიმზე. მამაკაცები, ქალები და ბავშვები გარს შემოერტყნენ ამხ. ფ. მახარაძეს, მადლობას უხდიდნენ მას და სიხარულით შესცქეროდნენ.

მიტინგის შემდეგ დაჯილდოებული იქნა საუკეთესო მუშები და ტექნიკური პერსონალი, რომელთაც დიდი ენერგია დახარჯეს ყველა სიძნელეების გადალახვისათვის.

შემდეგ, კლდეების აფეთქებისაგან გამოწვეულ გუგუნში ავტომობილები ახალი გზით გაბრუნდნენ უკან ჯვარისაკენ. სტუმრებმა დასტოვეს სვანეთი, რომელიც თავისი სილამაზით წარმოადგენს საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეს.

ამგვარად, სვანეთის გზა 80 კილომეტრის მანძილზე დამთავრებულია და მასზე უკვე დაიწყო მოძრაობა.

საქ. გზატრანსის მთავარი ინჟინერი: — **ტევენკირიევი.**

## ბათომის საკოლმეურნეო ბაზრობა გაიხსნება 24 ნოემბერს

**ბათომი**, 22 ნოემბერი. ბათომის საკოლმეურნეო ბაზრობა გაიხსნება 24 ნოემბერს.

## დავაჩქაროთ ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა

წყლის პირველად გაშვება ნატახტარის წყალსადენში დანიშნულია 1933 წლის 25 თებერვლისათვის— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლის თავის დღისათვის. ამჟამად მშენებლობა დაჩქარებული ტემპით სწარმოებს. ხდება მთავარ ნაგებობათა მოწყობილობის, რომელიც უცხოეთიდანაა მიღებული, აწყობა. ის მზადაა 50 პროც. რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება მილების გადატანა, ხოლო ქვეით გაყვანა განზრახულია დამთავრდეს ორი დღის განმავლობაში.

ადგენენ 40 ატმოსფერის წნევის გადამქაჩავი სადგურის პროექტს. ამ სადგურმა წყალი უნდა მიაწოდოს დავითის მთას, სადაც [illegible] სახლები მუშებისათვის [illegible].

მთავარ ნაგებობათა მშენებლობას აფერხებენ თბილისის 26 კომუნარის სახელობის და კალინინის სახელობის ქარხნები, რომელიც ვადაში ვერ ასრულებენ დაკვეთას ორდერებსა და საყალიბო ნაწილებზე.

აგრეთვე არ არის მოგვარებული მშენებლობის მუშების მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას მშენებლობაზე არსებული ყველა დეფექტები (ალს).

## ბავშვთა პოლიტექნიკური სათამაშოების გამოფენა

მოზარდთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ერთ-ერთი ძლიერი იარაღია სათამაშო, სათამაშო არა მარტო ართობს ბავშვს, არამედ ღრმად მოქმედებს მასზე. სათამაშო ავითარებს ბავშვს ფიზიკურად და გონებრივად, აძლევს ბავშვს ორიენტაციის ძალას, ამაგრებს და ავითარებს მის გამოცდილებას, ავითარებს ბავშვის შემოქმედებით უნარიანობას და ნიჭს.

ქალაქად და სოფლად მიმდინარე უდიდესი მშენებლობა ბავშვის თვალწინ უნდა პოულობდეს თავის გამოხატულებას სათამაშოში.

თანამედროვე სათამაშო უნდა გამოხატავდეს ახალ ყოფაცხოვრებას. უნდა იყოს აგებული დაშლის და აწყობის პრინციპზე, უნდა იყოს მხატვრული, გამძლე და ელასტიური.

ბავშვისათვის გასაგებ ფორმებში, თანამედროვე პოლიტექნიკური სათამაშო უნდა ავითარებდეს ენერგიას და მოძრაობას. შექმნა ნამდვილ მანქანა სათამაშოსი, რომელიც ბავშვს ათამაშებს, პროცესში გადასცემს მანქანის მუშაობის მთავარ შინაარსს, არის დღევანდელ სათამაშოს მნიშვნელოვანი პრობლემა.

ამ საკითხზე ა.-წ. 10 მარტიდან მუშაობს განსახკომის 1 საცდელ-საჩვენებელ საბავშვო კერაში პოლიტექნიკური სათამაშოების სახელოსნო. სახელოსნოს ძირითადი ამოცანები სათამაშოს ახალ ნიმუშების შექმნის საქმეში შემდეგია:

ბავშვებს მიეცეს იდეოლოგიურად გამართლებული სათამაშოები, რომელნიც დაეხმარება მათ პოლიტექნიკური ჩვევების გამომუშავების საქმეში. მიეცეს ბავშვებს სათამაშო ახალ თემებზე—აღმშენებლობიდან, ახალი ყოფაცხოვრებიდან და სხვ. იყოს ეს სათამაშო დამზადებული მხატვრულად და მიმზიდველად.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის აღსანიშნავად სახელოსნომ გამოიტანა თავისი ნამუშევარი გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა **21 ნოემბერს** და გაგრძელდება **1 დეკემბრამდე განსახკომის 1 საცდელ-საჩვენებელ საბავშვო კერაში** (ტრიბუნელის ქ. № 42).

გამოფენის მიზანია გამოიწვიოს საზოგადოებრივი კრიტიკა ახალ პოლიტექნიკურ სათამაშოს ნიმუშების გარშემო. გამოფენამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ ორგანიზაციების თითოეულ ჩაბმა პოლიტექნიკურ სათამაშოს შექმნის საქმეში და ამით გადაჭარბებით გაიძევოს საბავშვო და წვრილ-მეწარმეებიდან ძველი მეშჩანური, ბურჟუაზიული სათამაშო.

ნ. უნაფქოშვილი.

# ქრონიკა

**ჟურნალი „მასების კონტროლი"**

გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საქ. კონტროლ-მუშგლეხინის ყოველთვიური ჟურნალის—„მასების კონტროლი"-ს 1-ლი ნომერი.

**სხვადასხვა**

23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე „26"-ის სახელობის ა.-კ. კომუნივერსიტეტის კლუბში სპინოზას დაბადებიდან 300 წლის შესრულების გამო შედგება დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის ღია სხდომა. ამხ. შარია გააკეთებს მოხსენებას თემაზე „სპინოზას ფილოსოფია და მისი ისტორიული მნიშვნელობა". შესვლა თავისუფალია.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**23 ნოემბერს 12 საათზე საქ. კ.პ.** (ბ) ცეკას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში (ოთახი № 28) ამხ. გელაშვილთან შედგება თათბირი მებაღეობის შესახებ. სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ორგანიზაციათა პასუხისმგებელი წარმომადგენლების დასწრება: საქ. მიწსახკომი, საქ. საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, საქ. კონსერვტრესტი, საქ. მავნებლებთან მებრძოლი საზოგადოება, სამიწათმოქმედო და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კავშირი, საქართველოს კოლმეურნეცენტრი.

**23 ნოემბერს, სრულ 2 საათზე, საქ. კ.პ.** (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში (ოთახი № 14) ამხ. ს. არუთინოვთან შედგება თათბირი დასვენების ბანაკების, ტურისტთა ბაზების და წყლის სადგურების (კუს ტბა, ლისის ტბა და მცხეთა) მოწყობის შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ: მახარაძე (საქ სამკურორტო ტრესტი), საგურიანი („[illegible]"), სიკინჯილაშვილი, გოგოლაძე, გიორგაძე (წითელი ჯვარი), თაყაიშვილი, მამულაშვილი (პროლეტ ტურ. და ექსკ. საზ.), ხელაშვილი (თბ.-ავიაქ.), მუზაფაროვი (ავტო გზა) ფირუმოვი, ჩაჩავა (საქ პროფსაბჭო). ჯინჭარაძე (თბ. ფიზ. საბჭო) კუმერი (დინამო) უნგიაძე (საზღვაო-ზღვევა). ლოლობერიძე (კურორტების სამმართველო), ბეჟანიშვილი (თბილისის საბჭო) და კერესელიძე (საბავშვო სექცია).

სახოპერა

23 ნოემბ. მე 20 აბ. მე-3 წარმ.
ბალ-მასკარადი

24 ნოემბ. 18 აბ. 3 წ.
რიგოლეტო
განახლებული გაფორმებით

25 ნოემბ. მე 3 აბონ. მე 4 წარმ.
ნ. ნ. ხერიდას მონაწილეობით
აბესალომ და ეთერი

24 ნოემბერს დღისით წარმოდგენა კუზიანი კვიცი
ბილეთები იყიდება. ნ. 453

რუსთაველის თეატრი

23 ნოემბ 11 აბ 3 წ.
ანზორი

24 ნოემბ 10 აბ 3 წ
ანზორი

25 ნოემბ 12 აბ 3 წ
თეთნულდი

მე-3 გადასახადის შეტანა სავალდებულოა დილის 11—2 საათამდე. დირექცია. ნ. 462

სახელმწიფო დრამა
კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

ტექნიკური დაბრკოლების გამო 22 წარმოდგენა ოტელო გადატანილია 23 ნოემბრისათვის. ბოლო 23-ის 24 ს, 24 ის 27-ს
დარჩენილი ბილ. გაიყიდება 21 ნოემბრიდან თეატრის სალაროში.
გაუქმებულია უფასო შეს. ბილ. და კონტრამარკა.
ნ. 461

რესტორანი „ინტურისტი"
რუსთაველის 9
დღეს
ზამთრის სეზონის გახსნა
საუკეთესო არტისტული ძალები
ესტრადა, სალონის ორკესტრი
ჯაზ-ბანდი, ცეკვა.
დასაწყისი ღამის 11 საათზე
წინასწარი ჩაწერა მაგიდებზე
ყოველდღე მიიღება შეკვეთები ბანკეტებზე შემდეგი ღირებულებით:
I კატეგორია – 40 მან. პერსონისათვის
II „ 30 „ „
III „ 20 „ „
დაწვრილებითი პირობები რესტორანის დირექციაში.
დირექცია.

სარეწაო კოოპერაციის სრულიად საქართველოს ურთიერთ დამზღვევი სალარო
1-ლ 13 ნოემბრიდან ატარებს თავის ძალში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას
თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, ამასთანავე ერთად ჩამოყალიბებული უნდა იქნეს რესპუბლიკანური სალაროები: აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში ოლქის და სარაიონო სალაროები ქუთაისში, გორში და ზესტაფონში.
ზემოაღნიშნულ სალაროების ყრილობა დანიშნულია შემდეგ ვადებში:
1. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის სალარო—29 ნოემბერში.
2. აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკის სალაროს—26 ნოემბერში.
3. სამხრეთ-ოსეთის ოლქის—23 ნოემბერში.
4. ქუთაისის სარაიონო სალარო—26 ნოემბერში
5. გორის სარაიონო სალარო—20 ნოემბერში.
6. ზესტაფონის სარაიონო სალაროს 29 ნოემბერში.
სარეწაო კოოპერაციის სრ. საქ. ურთიერთ დამზღვევი სალაროს რესპუბლიკანური 11-რე ყრილობა მოწვეულია ა/წ 10 დეკემბერში ქ. თბილისში.
დღის წესრიგი:
1. სარეწ. კოოპერაციის სრულ. საქ. ურთიერთ დამზღვევი სალაროს გამგეობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. სალაროს შემდეგი წლიური გეგმა.
4. საკონტროლო ციფრები
5. სალაროს იურიდიულობა
6. არჩევნები და სხვადასხვა საკითხები
1 19 სალაროს პრეზიდიუმი.

სახცირკი
ყოველდღე წარმოდგენა
სამ დიდ განყოფილებად
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წუთზე.
სალარო ღიაა 11-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან. 24 ნოემბერს დღის წარმოდგენა.
ნ. 467

პირველი კინო
ოქტომბერი (უ. პოლოკი)
6, 8, 10.

ოქტომბერი დღისით
12, 1 30, 3.

დამკვრელი ზამთრის
6, 6 30, 8 9-30, 11

კინო დარბაზი ზამთ.
დას. 6 30, 8, 9-30, 11 ს.

რ. ლიუქსემბურ. სახ. კინო (ყოფ. ძინიონი)
დასაწყ. 6-30, 8, 9 03 11

რ. ლიუქსემბურ. სახ.
დღისით

ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი
შაქირ (როტე-ფანე)
სცენარი გ. მდივანის. რეჟ. ლ. ეხაკია

მხატვრული ფილმი
მორალი ელენე რიხტერის მონაწ.

ამერიკული კომედია
სისწრაფე და შეტევა
გაროლდ ლოიდის მონაწილეობით

ბუსტერ კიტონი კომედიაში
გენერალი

მხატვრული ფილმი
მამებთან ერთად

გაროლდ ლოიდი კომედიაში
უმცროსი შვილი

ექიმი
მ.ზ. ხეჩიშვილი
ვენერიული და ქალთა სნეულებანი მიიღება 5—7 საათამდე.
პერნოვის (გუნიბის) ქუჩა № 26 63

ექიმი
პირაქოვი
ვლ. ვას.
გულის და ფილტვების სნეულებანი. საზონოვის (ყოფ. ფილოსოფოსის) ქ № 22 (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლის და ძველი ტელეგრაფის პირდაპირ) მიიღება 4—5 საათამდე.

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
კისლოვოდსკიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგ. სნეულ. სპეც. გულის სნეულებ. ალ. 5—7, ელბაქიძის დაღმ. 20 (ყ. ვერის ხიდთან) ტელ 11—78
3—1 87

კაპიტალური რემონტის შემდეგ
გაიხსნა საქ. ვაჭრობის
რესტორანი № 64
(ყოფ. „ორიონი")
თავისუფლების მოედანი № 2.
(თამამშევის ყოფ. ქარვასლა)
მაღალ კვალიფიკაციით აღჭურვილი შეფ-მზარეულის ხელმძღვანელობით მზადდება სადილები, ვახშმები და საუზმეები.
რესტორანში და მის გარეშეც მიიღება შეკვეთები ბანკეტების, სადილების და ვახშმების.
სადილის და ვახშმის დროს უკრავს ორკესტრი.
ფასები ყველასათვის მისაწვდომია.
რესტორანი გახსნილია დილის 8 საათიდან ღამის 2 საათამდის.
3—2 ადმინისტრაცია.

24 ნოემბერს, დილის სრულ 12 ს.
საბავშვო საგამომცემლო სექტორი სახელგამის ბინაზე (ალმასიანის ქ. №7)
იწვევს საბავშვო მწერალთა და მხატვართა თათბირს
1. გამომცემლობათა შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებათა რეალიზაციისათვის საბავშვო ლიტერატურაში (მომხ. კ. მელაძე)
2. საბავშვო წიგნის სტილი და ილუსტრაცია მომხ. ლუნდბერგი
ყველა საბავშვო მწერლების და მხატვრების დასწრება სავალდებულოა.
2—1 ნ 475

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საშუალო სამედიცინო ტექნიკუმი
აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ ა/წ. 22 ნოემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე სწარმოებს
ფელდშერის პირველ კურსზე განცხადებების მიღება.
დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება სან. ჰიგ. ინსტიტუტში, მუზეუმის ქ. № 9, საღამოს 5—8 საათამდე
2—1 88 ტექნიკუმის ადმინისტრაცია

სტალინის სახელობის რაისაბჭოს საფინგანის სააუქციონო კამერა
(პლეხანოვის პრ № 131)
ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
23, 24 და 25 ნოემბერს,
დღის 12 საათზე,
სადაც გაიყიდება სხვა და სხვა მოძრავი საოჯახო ნივთები: გარდეროობი, ხალიჩები, მაგიდები და სხვა.
ნ. 477 სტალინის სახელობის რაიფინგანის გამგე ჟულელი

30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (სამოსწავლო შენობა, 2/4 [illegible])
ინჟ. შ. კაკაბაძის მოხსენება
მენდელეევის მეექვსე ჯგუფის ელემენტები. შესვლა თავისუფალია.
130

უახლოესი მეგობრები და ამხანაგები: შოთაძე, კოპალიანი, გეჯეჯკორი, ხიჯაროვი, სულთანიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, მიქაძე, თათუხოვი და ხონელიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძველი ბოლშევიკის და საქ. სახ. პოლიტსამმართველოს აქტიურ თანამშრომლის, სტალინისის რაიგანყოფილების უფროსის ამხ.
**კირილე სიმონის ძე ფაჩულიას**
ტრაგიკულად დაღუპვას დაკრძალვა ქ. ფოთში 24 ნოემბერს 4 საათზე 99

უახლოესი ამხანაგები: გ. ქალმახელიძე, ს. ცხოვრებაშვილი, ბ. ლონდაძე, გ. კოხრეიძე, ა. ხარაძე, ამ. ცხოვრებაშვილი, არ. [illegible], ალ. [illegible], არ. [illegible] მწუხარებით იუწყებიან, რომ 20 ნოემბერს, ტრაგიკულად დაიღუპა სტალინისის რაიონის პოლიტსამმართველოს განყოფილების უფროსი, მედგარი ბოლშევიკი ამხ.
**კირილე ფაჩულია**
99

საქ სახ პოლიტ. სამმართველოს ოსურგეთის რაიგანყოფილების უფროსი ნ მიქაძე თანამშრომლებით აუწყებს საუკეთესო ბოლშევიკის, ძველი ჩეკისტის სტალინისის რაიგანყოფილების უფროსის ამხ.
**კირილე სიმონის ძე ფაჩულიას**
ტრაგიკულად დაღუპვას დაკრძალვა ქ. ფოთში 24 ნოემბერს. 99

ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ სერგო, მაშო და კოლია პაპუაშვილები მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
**ნიკო დავითის-ძე ძამაშვილის**
ტრაგიკულად დაკარგვის გამო.
გამოსვენება გუნიას 18, 24 ნოემბერს 4 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 125

დამწუხრებულნი და კატო სიძე სიმონ [illegible] შვილებით და სიძით ვანიკა [illegible] იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე შესვენება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
**იუსტინე გერასიმეს-ძე მგალობლიშვილის**
ხსოვნის აღსანიშნავათ. 130

დამწუხრებული მეუღლე სოფიო შვილებით: ილო, კოლა, ირაკლი, სიკო, [illegible], ცოლისდები ქმარშვილით იუწყებიან, რომ 23 ნოემბერს 4 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას
**გიორგი ილარიონის-ძე ჩხუტიშვილის**
ხსოვნის აღსანიშნავად 101

დამწუხრებული მეუღლე იაგორ, შვილები: ილიკო, [illegible], რძალი ქეთევანი, მული მარიამი [illegible]შვილი მეუღლით იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 4 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
**ეკატერინე იაგორის ასულ მამალაშვილის**
ხსოვნის აღსანიშნავად. 117

აჭარის მშენებლობის მეორე სამშენებლო უბნის ინჟ.-ტ. ტექნიკოსები და მუშა მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას უბნის უფროსის ინჟ. გ. [illegible]ნიძის ვაჟის, პატარა
**კუხას**
უდროოდ დაკარგვას. ნ. 476

მარტვილის ელექტროსადგურის თანამშრომლები ი. გაგუა, დ. [illegible], ვ. შალამბერიძე, ა. ბახტაძე, პ. სტურუა, გ. თელია, ბ. მიქიაშვილი იუწყებიან თავიანთ ყოფილ მუშაკის ი. [illegible] ერთად ერთი ვაჟის
**პატარა ნაკოს**
უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა ხონში 22 ნოემბერს 97

დამწუხრებული მამა თედორე, დედა მარია, ძმები ვანო, ლაზარე, შოთა ქორიძეები, დები: [illegible], ლოლა იუწყებიან
**ბენია ქორიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება [illegible] 24 ნოემბერს 3 ს. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 116

დამწუხრებულნი მეუღლე ეფემია, შვილებით ციალა, რენოთი, ძმისშვილები: ელიკო, ალათი, თინა, შოთა კვაჭაძეები, ალათი, გიორგი, [illegible] იმედაძეები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს [illegible] დანიშნულია
**ბენია ელისეს-ძე კვაჭაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 115

თავზარდაცემული მეუღლე სალომე, შვილები: პროკოფი ცოლშვილით, შურა მეუღლით, მამია ქალიშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
**სარდიონ მიხეილის-ძე შენგელია**
გამოსვენება 24 ნოემბერს 3 საათზე, ორჯონიკიძის № 122, კუკიის სასაფლაოზე 114

დამწუხრებული მეუღლე ქეთევანი, შვილი კიკი, ცოლისძმა დავითი [illegible] იუწყებიან დაუვიწყარ
**ვასილ გაბრიელის-ძე მელქაძის**
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება 24 ნოემბერს 4 საათზე, ორჯონიკიძის ქ. № 6. 112

დამწუხრებულნი შვილები ოლღა, დიმიტრი, გიორგი, რძლები [illegible], ნინა, შვილიშვილები: თამარი, შოთა, იუწყებიან ძვირფასი
**ნატალია დავითის ას. წითლანაძის**
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 24 ნოემბერს, ბაქრაძის მე-2 ჩ. № 3, 4 საათზე ვერის სასაფლაოზე. 111

დედა თამარა, დები: თიკო, ნინო, მარია, ძმები: ნიკოლოზი, კონსტანტინე ოჯახობით, რძალი ანასტასია შვილებით ჯანდიერები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
**ელისაბედ ჯანდიერი-ჯიჯინაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 110

გაუბედურებული დედ-მამა ალექსანდრე თათუშა კვირიკელიძეები მშობლებით, ბაბუა თიმოთე, ბებია პარასკევა, ბიძები: ვასო, საშა, დეიდა ფოთოლი თოფურიძეები, [illegible] ქუთათელაძეები იუწყებიან
**პატარა ციალას**
უდროოდ დაკარგვას. 131

საქსახტრანსის მომარაგების სექტორის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას აუწყებენ ამავე სექტორის თანამშრომელის გიორგი ნინიკაშვილის მამის
**კონდრატი დავ.-ძე ნინიკაშვილის**
გარდაცვალების გამო. 129

სურამის [illegible] ელექტროფიკაციის [illegible] სექცია აცხადებს, რომ 24 ნოემბერს [illegible] დანიშნულია [illegible] ყოფილი სამუშაოთა უფროსის
**ანდრო იროდიონის-ძე გეგეშიძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 108

გამწარებული მამიდა ციციკო თოფურიძე, დედა ბუშუ, მამა მიხეილი [illegible], მამიდაშვილები: ვლადიმერი და ნატალია კორძაიები, ბიძაშვილი ვერა და ვაჟიკო ჩეჩელაძეები მწუხარებით იუწყებიან
**ტიტუშას**
უდროოდ გარდაცვალებას. 102

ძლიერ მწუხარებაში მყოფნი [illegible] ჩოჩიშვილები, [illegible] ჯაფარიძე იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მამა-შვილის
**ცუცა და გოგი ჩოჩიშვილების**
სამოქალაქო პანაშვიდი. 126

დამწუხრებული მშობლები ძალო და დიმიტრი, და ნინა, სიძე შალიკო თუთაშვილები, ძმები: დათა, შალიკო იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 3 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი
**ვასო დიმიტრის-ძე ოქრუაშვილის**
104

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედი, შვილი ექიმი აგრაფინა, სიძე ალექსანდრე [illegible]შვილი, დები გულჩინა, ლიზა შვილებით იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი
**მიხეილ ვახტანგის-ძე კალანდაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 2—1 105

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური სექციის მეორე კურსის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ძვირფას ამხან. გ. ქ[illegible] მამის—ექიმ
**ვასილ წულეისკირის**
გარდაცვალების გამო. 93

თავზარდაცემული მეუღლე ვერონიკა, შვილები: [illegible], ოლღა, სოლომონი, ვახტანგი, ციცო, რძლები, სიძე და შვილიშვილები იუწყებიან ძვირფას
**კონდრატე დავითის-ძე ნინიკაშვილის**
გარდაცვალებას გასვენება დღეს, 4 ს. კალინინის ქ. № 94 კუკიის სასაფლაოზე 120

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ტარასი, მამა ილარიონ, დედა სოფიო ჯინჭარაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ
**თამარა ჯინჭარაძის**
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფილ მიხაილოვის საავადმყოფოდან 24 ნოემბერს 4 საათზე. 127

გულმოკლულნი მშობლები: კატუშა ბაჭიაშვილი, პავლე რუსაძე, ძმა გაიოზი, ბებია პასიკო, სოსო შვილებით იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 1-ლ საათზე, დანიშნულია საყვარელ
**პატარა თამაზიკო რუსაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე. 124

ქალიშვილები: ნატაშა, თამარა, ნინა, ვარვარა, სიძეები: დავით [illegible], ვასო მამულოვი, მარტინ [illegible] შვილებით იუწყებიან
**სოფიო ანტონის-ას. სააკაძოვის**
გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს 4 საათზე, გამოსვენება ჩერქეზიშვილის ქ. № 29. 121

[illegible] იუწყებს მეუღლე აქსიუტა [illegible] ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 22 ნოემბერს გარდაიცვალა მისთვის საყვარელი
**ნუცა შავგულიძე**
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6—7 საათზე ფურცელაძის ქ № 17 123

სამუდამოდ გულმოკლულნი ძმა მიქო, დედა მარო [illegible]ძეები, დეიდა ნიათი იუწყებიან, რომ 18 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი პატარა
**მაცაცუნა (ზაქრიკო)**
დაკრძალვა მოხდა 21 ნოემბერს [illegible]. 12[illegible]

უახლოესი ამხანაგები: [illegible] კაკაბაძე, [illegible], [illegible], ნიკოლაიშვილი, [illegible], ხელაძე თანაგრძნობას უცხადებენ [illegible]
**ინჟ. პავლე ნესტორის ძე წერეთლის**
გარდაცვალების გამო. 35

დამწუხრებული [illegible] შვილები [illegible] იუწყებიან [illegible] საყვარელი
**ბაბუცა ლორთქიფანიძის**
უდროოდ გარდაცვალებას. 103

სტამბა „კომუნისტი" 1932 წ. კამოს ქუჩა № 60 მთავლიტის რწმუნებული ა 1215.